Grant Thornton

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში საგადასახადო ანგარიშგებაზე სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" 2014 წლის 01 იანვრიდან – 31 დეკემბრის ჩათვლით

20 აპრილი 2015 წელი

Grant Thornton

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შპს გრანთ თორნთონ ახვლედიანი
დავით აღმაშენებელი გამ. 61
0102, თბილისი, საქართველო
ტ.+ 995 32 2 60 44 06

Grant Thornton Akhvlediani LLC
61 David Aghmashenebeli Avenue
0102 Tbilisi, Georgia
+ 995 322 604 406

www.grantthornton.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირის "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დამფუძნებელს

ჩვენ ჩავატარეთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის "საზოგადოებრივი მაუწყებლის" (შემდგომში "ორგანიზაცია") 2014 წლის საგადასახადო დეკლარაციების შემოწმება, რომელიც 2015 წლის 20 აპრილის თარიღითაა წარდგენილი. მოცემული დეკლარაციები მოიცავს ყოველთვიურ დამატებული ღირებულების საგადასახადო დეკლარაციებს, ყოველთვიურ საშემოსავლო დეკლარაციებს, ყოველთვიურ უკუდაბეგვრის დამატებული ღირებულების გაანგარიშების დეკლარაციებს, წლიური მოგების დეკლარაციასა და წლიურ ქონების დეკლარაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით 2014 წლის საგადასახადო დეკლარაციების წარდგენაზე. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს ორგანიზაციის ეკონომიური საქმიანობიდან გამოდინარე წარმოქმნილ საგადასახადო ვალდებულებებს; ხელმძღვანელობის მიერ ისეთი შიდა კონტროლის სისტემების შემუშავებას, იმ მიზნით, რომ ხელმძღვანელბამ გონივრულად წარადგინოს საგადასახდო დეკლარაციები, რომლებიც არ შეიცავენ არსებით უზუსტობებს, თაღლითობებს და შეცდომებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენს პასუხისმგებლობას მოიცავს გამოვთქვათ მოსაზრება საგადასახადო დეკლარაციებზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდატებით მოითხოვება, რომ დავიცვათ შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები და შემოწმება დავგეგმოთ და ჩავატაროთ დასაბუთებული რწმუნების მოპოვების მიზნით იმის თაობაზე, რომ საგადასახადო დეკლარაციებში არ არის რაიმე სახის არსებითი უზუსტობა.

ჩვენი სამუშაო გულისხმოსბს ისეთი პროცედურების ჩატარებას, რომლებიც გამიზნულია მტკიცებულების მოპოვებაზე საგადასახადო დეკლარაციებში მითითებული თანხების თაობაზე. პროცედურა დამოკიდებულია აუდიტორთა შეფასებაზე, მათ შორის, საგადასახადო დეკლარაციების არსებითი უზუსტობის რისკის შეფასების თაობაზე, მიუხედავად იმისა, იქნება მსგავსი უზუსტობა დაშვებული უნებლიედ, თუ განზრახ. იმისათივს, რომ შეიმუშავოს ვითარებისა და გარემოების შესატყვისი პროცედურები, რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ სისტემებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ საგადასახადო დეკლარაციების მომზადებისთვის. აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობაზე. ჩვენი სამუშაო, ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, საადიცხვო შეფასებების სისწორისა და საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისად დეკლარაციების წარდგენის შეფასებას.

დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულება საკმარის და სათანადო საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისათვის.

უპირობო დასკვნა

ჩვენი მოსაზრების შედეგად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2014 წლის საგადასახდო დეკლარაციები, რომლებიც წარდგენილი იქნა 2015 წლის 20 აპრილს, შესაბამისობაშია ყველა მატერიალურ ასპექტში საქართველოს საგადასახდო კანონის მოთხოვნებთან მიმართებაში.

შპს გრანთ თორნთონ ახვლედიანი
2015 წლის 20 აპრილი

Grant Thornton Akhvlediani